სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 23

ქ. თბილისი **20 იანვარი 2021 წელი**

ერთი მხრივ **სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულედანის სახით და მეორე მხრივ **სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას გამარტივებული საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი აპარატურის დაკალიბრების მომსახურების (CPV50433000) შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად (დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
1.2 შესყიდვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს 2021 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) შეადგენს 5269 (ხუთი ათას ორას სამოცდაცხრა) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება გასაწევი მომსახურების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 თებერვლის # 99 დადგენილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე.
2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს, ტრანსპორტირების ხარჯებს და სხვა.

3. მომსახურების მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

3.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად „შემსყიდველის“ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ. N49, არაუგვიანეს 2021 წლის 26 თებერვლისა.
3.2 დაკალიბრების შედეგები უნდა აისახოს დაკალიბრების სერტიფიკატებში;
დაკალიბრების სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
• დაკალიბრების სერტიფიკატის გამცემი კომპანიის დასახელება და მისამართი;
• დაკალიბრების სერტიფიკატის ნომერი;
• სერტიფიკატის გაცემის თარიღი;
• შემდგომი დაკალიბრების სარეკომენდაციო თარიღი;
• დაკალიბრებული გაზომვის საშუალების დასახელება, ტიპი, ნომერი;
• რომელი ხელსაწყოს გამოყენებით განხორციელდა დაკალიბრება;
• რომელი მოქმედი სტანდარტის, პროცედურის ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნათა თანახმად ჩატარდა დაკალიბრება;
• გაზომვის განუსაზღვრელობა;
• გაზომვების/დაკალიბრების მიკვლევადობა (მიკვლევადობის დაფიქსირება საერთაშორისოდ აღიარებულ ეტალონამდე).

4. მომსახურების ხარისხი

4.1 ,,მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისი.

4.2 „მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურებაში გამოვლენილი წუნის ან/და ხარვეზის გამოსწორებას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“ „შემსყიდველისგან“ რაიმე დამატებითი დანახარჯების გარეშე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს მოაწერენ სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის სამეურნეო განყოფილების უფროსი იოსებ ჩორგოლაშვილი, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან - მისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

6.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

ბ) შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებელი“ მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა დოკუმენტით (გაზომვის საშუალება, მისი პასპორტი და სხვა);

ბ) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით;

დ) მომსახურების მიმწოდებლის მისამართზე განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, (ასეთის არსებობისას), უზრუნველყოს მომსახურების გაწევისთვის საჭირო აპარატურის ტრანსპორტირება „მიმწოდებლის“ მისამართიდან „შემსყიდველის“ იურიდიულ მისამართზე და პირიქით.

ე) უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

7.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) „შემსყიდველს“ მიაწოდოს ხელშეკრულების შესაბამისი მომსახურება;

ბ) დაიცვას ხელშეკრულების ყველა პირობა;

7.4 ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადების დაცვით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენისთვის დამრღვევ მხარეს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.2 ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების თაობაზე. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი გზები, რომლებიც თავისუფლი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეიტანოს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო აუცილებელი ხდება ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული, „მიმწოდებელს“ წარუდგინოს რაიმე მტკიცებულებები იმ გარემოებათა თაობაზე, რომელთა გამოც წარმოიშვა ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

11.1 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

11.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას ,,შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებული პასუხისმგებელი პირი.

12. დამატებითი პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 15 მარტის ჩათვლით.

12.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს, ან მესამე მხარეს გადასცეს თავისი უფლებები და მოვალეობები.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

12.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

12.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეთა მიერ დამოწმებულია ელექტრონულად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

13. დავათა განხილვის წესი

13.1 წამოჭრილ უთანხმოებებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების საფუძველზე. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი“

სსიპ სოფლის მეურნეობის
სახელმწიფო ლაბორატორია

ს/კ: 205162802
მის: ქ.თბილისი, გოძიაშვილის ქუჩა №49
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102

ირაკლი გულედანი
დირექტორი

LEPL State Laboratory of Agriculture
Digitally signed by LEPL State Laboratory of Agriculture
Date: 2021.01.20 15:56:37 +04'00'

„მიმწოდებელი“

სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

ს/კ: 200162224
მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N 67
მიმღ. ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი - 707177053

დავით ტყემალაძე
გენერალური დირექტორი

LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology
Digitally signed by LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology
Date: 2021.01.20 16:56:48 +04'00'